სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად და აწესრიგებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის პრინციპებსა და წესს, აგრეთვე განსაზღვრავს სადოქტორო პროგრამის განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ სტანდარტს.

მუხლი 2. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის მიზანი

დოქტორანტურა არის უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური და მიზნად ისახავს დოქტორანტის ინტელექტუალურ ზრდას, სამეცნიერო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადებას, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოებას, ქვეყანაში სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებას და ხარისხის ამაღლებას, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვას, ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისთვის ხელის შეწყობას.

თავი II. იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

მუხლი 3. სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო. იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან.
2. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები.
3. სადისერტაციო საბჭო:
ა. შესაბამისი მიმართულების ან პროფესორის წინადადებით განსაზღვრავს სადოქტორო პროგრამის შინაარსს;
ბ. იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისათვის დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე;
გ. იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სადისერტაციო თემის შეცვლის შესახებ;
დ. იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ;
ე. იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის თაობაზე;
ვ. ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

1. სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.
2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს შემადგენლობიდან ირჩევს სადისერტაციო საბჭო, ორი წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.
3. თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს სადისერტაციო საბჭოს წევრთა არანაკლებ სამკაციან ჯგუფს კანდიდატის წინასწარი თანხმობით.

მუხლი 5. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:
ა. საჭიროებისამებრ იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს;
ბ. სადისერტაციო საბჭოს სხდომებს შორის ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას;
გ. შეიმუშავებს რეკომენდაციას დოქტორანტის მიერ სწავლის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ;
დ. უზრუნველყოფს დოქტორანტებისათვის სავალდებულო თემატური სემინარების ორგანიზებას;
ე. შესაბამის მიმართულებასთან (ინსტიტუტთან) შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას რეცენზენტების გამოყოფის შესახებ;
ვ. იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის და კომისიის შემადგენლობის (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარის) შესახებ;
ზ. სადისერტაციო საბჭოს წელიწადში ერთხელ აბარებს ანგარიშს ჩატარებული საქმიანობის და მომავალში ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ;
თ. ამზადებს წარდგინებას დოქტორანტისათვის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე;
ი. ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადისერტაციო საბჭოს სხდომას იწვევს საკუთარი ინიციატივით, დეკანის, სადისერტაციო საბჭოს მდივნის, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ან სადისერტაციო საბჭოს სულ ცოტა სამი წევრის წინადადებით.

მუხლი 6. სადისერტაციო საბჭოს მდივანი

1. სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს მდივანი, რომელსაც სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, ორი წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, ირჩევს სადისერტაციო საბჭო.
2. სადისერტაციო საბჭოს მდივანი:
ა. აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს უნივერსიტეტში საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად;
ბ. აღრიცხავს დოქტორანტის სადისერტაციო დოკუმენტაციას;
გ. ეხმარება თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;
დ. ხელმძღვანელობს საბჭოს არქივსა და საქმისწარმოებას;
ე. კონსულტაციას უწევს და ეხმარება დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში;
ვ. უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განთავსებას საინფორმაციო ვებგვერდზე;
ზ. უზრუნველყოფს სხდომის ოქმის წარმოებას.

მუხლი 7. სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი

1. სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს წინამდებარე დებულების შესაბამისად.
2. სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, წელიწადში სულ ცოტა ორჯერ მაინც.
3. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
4. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა უმრავლესობა, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
5. სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.
6. სადისერტაციო საბჭოს სხდომებს შორის საბჭოს მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.
7. მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში თავმჯდომარე უფლებამოსილია მდივნის მოვალეობა დააკისროს საბჭოს ერთ-ერთ წევრს.

თავი III. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლა

მუხლი 8. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს სამართლის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 9. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები

1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.
2. დოქტურანტურაში ჩარიცხვისათვის, დოქტორანტობის კანდიდატმა თსუ-ის რექტორის სახელზე იურიდიული ფაკულტეტის მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტებით თანდართული განცხადება (იხ. დანართი №1).
3. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა (იხ. დანართი №2), რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით.
4. ევროპული სამეცნიერო (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ სამაგისტრო პროგრამა გავლილი აქვს ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას.
5. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში.
6. ქართულ ენაში გამოცდისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუკი სადოქტორო პროგრამის ცალკეული კომპონენტი/კომპონენტები ხორციელდება ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას, ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტს ეკისრება ვალდებულება, დისერტაციის დაცვამდე სულ მცირე ორი სემესტრით ადრე დაადასტუროს ქართული ენის ცოდნა ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან საუნივერსიტეტო გამოცდით.
7. ქართული და უცხოური ენის გამოცდის ორგანიზებას და ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ-ის საგამოცდო ცენტრი.
8. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისათვის.

მუხლი 10. საკონკურსო გასაუბრებაზე დაშვების წინაპირობები

1. კონკურსანტი, რომელიც აკმაყოფილებს სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს დაიშვება გასაუბრებაზე.
2. დოქტორანტობის კანდიდატი გასაუბრებაზე გადის იურიდიული ფაკულტეტის წარდგინებით თსუ-ის რექტორის აქტით შექმნილ იურიდიული ფაკულტეტის დარგობრივ კომისიაში.
3. კომისიას კანდიდატის საანკეტო მონაცემებსა და შუამდგომლობას მოახსენებს სადისერტაციო საბჭოს მდივანი ან სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, ან დარგობრივი კომისიის წევრი. შუამდგომლობაში დასაბუთებული უნდა იყოს შერჩეული თემის აქტუალობა და მნიშვნელობა.
4. პირი დოქტორანტურაში ჩარიცხულად ჩაითვლება და მისი ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) დაინიშნება, თუ ღია კენჭისყრისას მას მხარს დაუჭერს დარგობრივი კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობა.

მუხლი 11. დოქტორანტურაში ჩარიცხვა

1. გასაუბრების წარმატებით გავლის შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით პირი დოქტორანტურაში ჩაირიცხება თსუ-ის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 12. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება დოქტორანტის სტატუსი შეუწყდეს:
ა. პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;
ბ. უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას;
გ. დოქტორანტის მიერ სწავლისა და კვლევის პროცესის, წინამდებარე დებულებით დადგენილ პერიოდში, დაუსრულებლობის შემთხვევაში;
დ. სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობით, თუ მას მიაჩნია, რომ დოქტორანტი, წინამდებარე დებულებით დადგენილ პერიოდში, ვერ შეძლებს სწავლისა და კვლევის პროცესის დასრულებას;
ე. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
2. დოქტორანტისათვის დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობის უფლება აქვთ ფაკულტეტის შესაბამის სამეცნიერო მიმართულებას, სამეცნიერო ხელმძღვანელს, სადისერტაციო საბჭოს სხვა წევრს.
3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით დოქტორანტის სტატუსი პირს შეუწყდება თსუ-ის რექტორის აქტით, თუ ამ წინადადებას მხარს დაუჭერს იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დამსწრე წევრთა სულ ცოტა 2/3 მაინც.

თავი IV. სადოქტორო პროგრამა

მუხლი 13. სადოქტორო პროგრამის შემუშავება და წარდგენა

1. სადოქტორო პროგრამის შემუშავება ხდება:
ა. ფაკულტეტის ერთი ან რამდენიმე პროფესორის მიერ;
ბ. პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად.
2. სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს (თანახელმძღვანელობს) ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
3. სადოქტორო პროგრამას განიხილავს სადისერტაციო საბჭო. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ფაკულტეტის საბჭოს დადგენილი წესით წარუდგენს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ს და შესაბამის სადოქტორო პროგრამას დასამტკიცებლად.
4. სადოქტორო პროგრამას თან უნდა ერთვოდეს სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების სილაბუსები.
5. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში შეიძლება მონაწილეობდეს:
ა. უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;
ბ. პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერი;
გ. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

მუხლი 14. სადოქტორო პროგრამა და მისი მოცულობა

1. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლა მიმდინარეობს სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.
2. იურიდიული ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, რომელიც დოქტორანტმა უნდა დააგროვოს დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან არანაკლებ ექვსი სემესტრის განმავლობაში.
3. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან, საიდანაც არა უმეტეს 60 კრედიტისა ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო დანარჩენი კვლევით კომპონენტს.
4. დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ დოქტორანტის მიერ სწავლისა და კვლევის პროცესის დაუსრულებლობის შემთხვევაში, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს უფლება აქვს სწავლის/კვლევის პროცესის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს.
5. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობაზე სადისერტაციო საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია დაასრულოს დოქტორანტურაში სწავლისა და კვლევის პროცესი, სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული სემესტრების განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს 4 სასწავლო სემესტრისა.

6. დოქტორანტი, რომელიც შეასრულებს კვლევითი კომპონენტს, სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების შემდეგ დისერტაციას წარუდგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს. დისერტაციის დაცვა წარმოებს წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით.

მუხლი 15. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი

1. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.
2. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეიძლება მოიცავდეს სემინარს/სემინარებს, სასწავლო კურსებს/მოდულებს, პროფესორის ასისტენტობას და სხვა სახის აქტივობებს.
3. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს სავალდებულო და არჩევით ელემენტებს.
4. დოქტორანტის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტია სემინარი (20 კრედიტი). დოქტორანტის სასწავლო კომპონენტის სხვა სავალდებულო და არჩევითი ელემენტების სასწავლო აქტივობები, განისაზღვრება შესაბამისი სადოქტორო პროგრამით.

მუხლი 16. სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი

1. სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მიზანია დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი უნარების ჩამოყალიბება.
2. დოქტორანტურის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია სადისერტაციო ნაშრომი. სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენით და დაცვით (პრეზენტაცია, სამეცნიერო დისკუსია).
3. სადისერტაციო ნაშრომი (დისერტაცია) ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. ამასთან, დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.
4. დისერტაციის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სადოქტორო პროგრამით.

თავი V. დოქტორანტის ხელმძღვანელობა

მუხლი 17. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.
2. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
3. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულებას.
4. სამეცნიერო ხელმძღვანელი, ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში, სწავლის ნებისმიერ ეტაპზე, დასაბუთებულ განცხადებას წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს.
5. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.
6. დოქტორანტის მეორე სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები. ამასთან, იგი შეიძლება არ იყოს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.
7. სამეცნიერო ხელმძღვანელის სალექციო და კვლევითი დატვირთვიდან გამომდინარეობს, თუ რამდენ დოქტორანტს შეუძლია უხელმძღვანელოს.

მუხლი 18. სადოქტორო პროგრამის, სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო თემის შეცვლა

1. დოქტორანტს უფლება აქვს იურიდიული ფაკულტეტის ფარგლებში შეიცვალოს სადოქტორო პროგრამა.
2. იურიდიული ფაკულტეტის ფარგლებში სადოქტორო პროგრამის შეცვლის საკითხს განიხილავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო დოქტორანტის განცხადების საფუძველზე, იმ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში, რომელზე გადასვლაც სურს დოქტორანტს.

3. დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლა ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.
4. დოქტორანტის დასაბუთებული მოთხოვნით სემესტრის დაწყებამდე შეიძლება შეიცვალოს სამეცნიერო ხელმძღვანელი, აგრეთვე, ხელმძღვანელის ასეთივე მოთხოვნით შეიძლება გაუქმდეს მისი ვალდებულებებიც.
5. სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის შემთხვევებში ძველი და ახალი ხელმძღვანელების თანხმობისას შეიძლება არ შეიცვალოს სადისერტაციო თემა.
6. დოქტორანტის და სამეცნიერო ხელმძღვანელის ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით სემესტრის დაწყებამდე შეიძლება სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეიცვალოს სადისერტაციო თემა. აღნიშნულ შემთხვევებში სადისერტაციო თემის იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეცვლისას გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

თავი VI. სადისერტაციო საქმისწარმოება

მუხლი 19. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ერთი თვის განმავლობაში დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დამოკიდებულია დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის, შესაბამისი დარგისა და სადოქტორო პროგრამის სპეციფიკაზე, ფაკულტეტის აკადემიურ პოტენციალსა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ, დოქტორანტი შევსებულ სპეციალურ ფორმას (იხ. დანართი №3) და მის თანდართულ დოკუმენტაციას წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას, რომელიც სადისერტაციო საბჭოს ოფიციალურად აცნობებს დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტის შესრულების შესახებ.

მუხლი 20. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა

1. დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ერთი თვის განმავლობაში დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას და შევსებულ სპეციალურ ფორმას (იხ. დანართი №4) წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას.
2. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა იქმნება სადისერტაციო ნაშრომის განსახორციელებლად. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში მოცემული უნდა იყოს კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის შესრულების სავარაუდო გრაფიკი.

თავი VII. დისერტაციის მომზადება და დაცვა

მუხლი 21. დისერტაცია

1. დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს სამეცნიერო დარგის განვითარებაში.
2. დისერტაცია უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.
3. დისერტაციის უცხოურ ენაზე შესრულების შემთხვევაში, სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.
4. დისერტაციის არქიტექტონიკა (მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები) განისაზღვრება სადოქტორო პროგრამით.

მუხლი 22. დისერტაციის წარდგენასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები

1. დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომის ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს, რომ დოქტორანტმა უნდა დააკმაყოფილოს ქვემოთ წარმოდგენილი ერთ-ერთი მოთხოვნა მაინც:
ა. დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ჰყავს უცხოელი თანახელმძღვანელი;

ბ. დოქტორანტის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ჰყავს დოქტორის აკადემიური ხარისხის და შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი რეცენზენტი;
გ. დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომი სადოქტორო დისერტაციის თემაზე უკვე დაიბეჭდა ან მიღებულია დასაბეჭდად იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში, ან რეფერირებად/რეცენზირებად (რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით) ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე.წ. Proceedings).
2. სადისერტაციო ნაშრომის ინტერნაციონალიზაციას უტოლდება დოქტორანტის სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად გადაცემული ერთი სტატიის ან დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (30-45 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირება, რომელსაც უზრუნველყოფს თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი, იურიდიულ ფაკულტეტთან თანამშრომლობით.
3. დოქტორანტის სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად გადაცემული სტატიის საერთაშორისო რეცენზირება უნდა განხორციელდეს, მისი უცხოელი ექსპერტისათვის გადაცემიდან 3 თვის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში საერთაშორისო რეცენზირების მიუღებლობის შემთხვევაში, სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად გადაცემული სტატია სარეცენზიოდ და გამოსაქვეყნებლად გადაეცემა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ერთ-ერთ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალს.
4. დოქტორანტის სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად გადაცემული ერთი სტატიის ან დისერტაციის შემოკლებული ვერსიის რეცენზირება შეიძლება განახორციელოს აგრეთვე:
ა. თსუ-ში მოწვეული პროფესორის (visiting professor) სტატუსით მყოფმა პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პროფესორმა და/ან მკვლევარმა მისი თანხმობის შემთხვევაში;
ბ. თსუ-ში ამა თუ იმ სამეცნიერო სტიპენდიით, კვლევითი გრანტით მყოფმა უცხოელმა პროფესორმა და/ან მკვლევარმა მისი თანხმობის შემთხვევაში (მაგალითად, DAAD-ის, Fullbright-ის სტიპენდიანტები და სხვ.).
5. საერთაშორისო რეცენზირებისათვის სტატიების წარმოდგენა და მათი შეფასების წესი განსაზღვრულია წინამდებარე დებულებით (დანართში №5).

მუხლი 23. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

1. დოქტორანტი იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს დისერტაციის ოთხ აკინძულ ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში), ფაკულტეტის ვებგვერდზე განსათავსებლად.
2. დისერტაციასთან ერთად დოქტორანტმა სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს:
ა. განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დისერტაციის განსახილველად მიღების შესახებ;
ბ. ცნობა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის შესრულების შესახებ;
გ. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შესრულების შესახებ სულ მცირე სამი სემესტრის განმავლობაში ხელმძღვანელის მიერ დადასტურებული, გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში;
დ. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) წერილობითი დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ იგი გაეცნო სადისერტაციო ნაშრომს და ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად;
ე. ამ დებულების შესაბამისად დისერტაციის ინტერნაციონალიზაციის (საერთაშორისო გამოხმაურების) დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და სათანადო პუბლიკაცია.
3. დისერტაციას თან უნდა დაერთოს დოქტორანტის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ ნაშრომი მის მიერ არის შესრულებული და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.
4. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შემდეგ, სადისერტაციო საბჭოს მდივანი სამი სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს დოკუმენტაციას და, თუ იგი წესრიგშია, რეცენზენტების გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებას მისაღებად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს.
5. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის გადასახადისგან სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის მომენტიდან.

მუხლი 24. დისერტაციის წინასწარი რეცენზირება

1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე შესაბამის მიმართულებასთან (ინსტიტუტთან) შეთანხმებით დისერტაციის რეცენზირებისათვის გამოყოფს ორ რეცენზენტს.
2. დისერტაციის რეცენზენტი შეიძლება იყოს თსუ-ის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. ცალკეულ შემთხვევებში რეცენზენტად შეიძლება გამოიყოს სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
3. რეცენზენტი დასკვნას სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს წარუდგენს მისთვის დისერტაციის გადაცემიდან 2 თვის განმავლობაში.
4. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე რეცენზენტის მიერ დასკვნის წარმოდგენა ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.) შეუძლებელია, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე შესაბამის მიმართულებასთან (ინსტიტუტთან) შეთანხმებით გამოყოფს მესამე რეცენზენტს.
5. რეცენზენტის დასკვნაში უნდა აისახოს:
ა. სადოქტორო თემის აქტუალურობა;
ბ. კვლევის მეცნიერული დონე;
გ. გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია);
დ. მიღებული შედეგების სანდოობა;
ე. დისერტაციის გაფორმების ხარისხი და სხვ.
6. შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე რეცენზენტი თავის დასკვნაში ადგენს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა. დისერტაციის დაცვაზე დაშვების შესახებ;
ბ. დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ.
7. თუ ორიდან ერთი რეცენზენტი მიიღებს გადაწყვეტილებას დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე შესაბამის მიმართულებასთან (ინსტიტუტთან) შეთანხმებით გამოყოფს მესამე რეცენზენტს.
8. თუ რეცენზენტების ნახევარზე მეტი მიიღებს გადაწყვეტილებას დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.
9. დისერტაციის დაცვაზე დაუშვებლობის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს ეძლევა დისერტაციაზე დამატებითი მუშაობის უფლება, სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული სემესტრების განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს 2 სასწავლო სემესტრისა.
10. სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სადისერტაციო ნაშრომის წარუდგენლობის შემთხვევაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს უწყდება დოქტორანტის სტატუსი.
11. დოქტორანტის მიერ ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული დისერტაცია გადაეცემათ იმავე რეცენზენტებს, ხოლო თუ ეს ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.), შეუძლებელია, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე შესაბამის მიმართულებასთან (ინსტიტუტთან) შეთანხმებით დისერტაციის რეცენზირებისათვის გამოყოფს ახალ რეცენზენტებს.
12. თუ რეცენზენტების ნახევარზე მეტი მიიღებს გადაწყვეტილებას ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.
13. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს რეცენზენტთა გადაწყვეტილებები. დოქტორანტს უფლება აქვს გაეცნოს რეცენზენტთა დასკვნებს.
14. დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შემთხვევაში, უარყოფილი სადისერტაციო ნაშრომის ერთი პირი და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები შესანახად გადაეცემა სადისერტაციო საბჭოს არქივს.

მუხლი 25. დისერტაციის დაცვის თარიღის და კომისიის შემადგენლობის დამტკიცება

1. დისერტაციის დაცვის თარიღის და სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარის) შესახებ გადაწყვეტილებას, იღებს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.
2. დისერტაციის დაცვა შეიძლება დაინიშნოს დაცვის თარიღზე გადაწყვეტილების მიღებიდან მინიმუმ 30 კალენდარული დღის შემდეგ.
3. კომისიის შემადგენლობის დამტკიცებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის ეგზემპლარებისა და რეცენზენტთა დასკვნების გადაცემას სადისერტაციო კომისიის წევრებისათვის.
4. სადისერტაციო საბჭოს მდივანმა დოქტორანტს უნდა აცნობოს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა, დაცვის თარიღი,

დრო, ადგილი, გარეშე პირთა დასწრების შესაძლებლობა და მათი დასაშვები რაოდენობა, დაცვის თარიღამდე მინიმუმ 30 კალენდარული დღით ადრე.

მუხლი 26. სადისერტაციო კომისია

1. სადისერტაციო კომისია უნდა შედგებოდეს დისერტაციის შესაბამისი მეცნიერების დარგის სულ მცირე 3 წევრისაგან.
2. სადისერტაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს როგორც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე სხვა პირი. კომისიაში ასევე მონაწილეობენ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და რეცენზენტები.
3. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს მისი წევრებიდან შერჩეული, სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული თავმჯდომარე. თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ან მისი დისერტაციის რეცენზენტი.

მუხლი 27. სადისერტაციო კომისიის სხდომა

1. დისერტაციის დაცვა წარმოებს სადისერტაციო კომისიის სხდომაზე საჯაროდ. სადისერტაციო კომისიის სხდომის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს იურიდიული ფაკულტეტის ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე.
2. დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დაშვებული.
3. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა 3/4 და მეტი.
4. თუ დაცვას საპატიო მიზეზით არ ესწრება ერთ-ერთი რეცენზენტი, ამ შემთხვევაში რეცენზია მთლიანად უნდა იქნას წაკითხული დაცვის მსვლელობისას.
5. დაცვას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი. თუ იგი საპატიო მიზეზით არ ესწრება კომისიის სხდომას, კომისიას უგზავნის შესაბამის მოხსენებით ბარათს და დოქტორანტის პიროვნულ დახასიათებას.
6. თუ დოქტორანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გავიდა დისერტაციის დაცვაზე, ან სადისერტაციო კომისიის ქვორუმი არ შედგა, ან დაცვა არ შედგა დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, სადისერტაციო საბჭოს მიერ დაინიშნება დამატებითი დაცვა იმავე სემესტრში.
7. სადისერტაციო კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს ორი დისერტაციის დაცვა.

მუხლი 28. დისერტაციის დაცვა

1. კომისიის სხდომაზე სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს დისერტანტის ვინაობას და დისერტაციის თემას, რეცენზენტების ვინაობას და კომისიას აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დისერტაციის დაცვის პროცედურას და დოქტორანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.
2. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო კამათს და სადისერტაციო კომისიის დასკვნას. დაცვის პროცესის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 120 წუთს.
3. დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაცია გულისხმობს დოქტორანტის მოხსენებას – თემის წარმოდგენას, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს. კომისიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტი კომისიას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს.
4. ნაშრომის პრეზენტაციისას დისერტანტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: მაგალითად, სლაიდები, პლაკატები, ვიდეო-კინო გასაშვები ტექნიკა და ა.შ.
5. ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ იმართება სამეცნიერო კამათი, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 60 წუთს. დოქტორანტი უპასუხებს დამწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარე კომისიას გააცნობს დისერტაციის წინასწარი განხილვის შედეგებს. იწყება რეცენზენტების პაექრობა დოქტორანტთან, რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელებს) დოქტორანტის პიროვნული დახასიათებისათვის. იმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ როგორც კომისიის წევრებს, ისე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს.
6. სამეცნიერო კამათის დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტს ეძლევა დასკვნითი სიტყვა, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.

7. დოქტორანტის დასკვნითი სიტყვის შემდეგ დისერტაციის შესაფასებლად სადისერტაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ დასკვნით სხდომაზე.
8. დისერტაციის დაცვაზე, მის მსვლელობასა და საბოლოო შედეგზე დგება დისერტაციის დაცვის ოქმი რაზედაც ხელს აწერს კომისიის დამსწრე ყველა წევრი. ოქმის წარმოებას უზრუნველყოფს სადისერტაციო კომისია.

მუხლი 29. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

1. სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.
2. სადისერტაციო კომისიის თითოეული წევრი დისერტაციას აფასებს შედეგის მიღწევის დადგენილი შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.
3. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეულ ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე), რომელსაც შეეფარდება ლათინურ შეფასებას.
4. დისერტაციის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება.
5. დისერტაციის დადებითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:
ა. ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
ბ. ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
გ. კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
დ. საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
ე. დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;
6. დისერტაციის უარყოფითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:
ა. არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41- 50%;
ბ. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.
7. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
8. არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. ამ მიზნით, მას უფლება აქვს შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს წარუდგინოს განცხადება ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნით.
9. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
10. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე სხდომის დასრულებისთანავე საჯაროდ აცხადებს კომისიის დასაბუთებულ საბოლოო გადაწყვეტილებას. დოქტორანტს უფლება აქვს გაეცნოს სადისერტაციო კომისიის საბოლოო წერილობით გადაწყვეტილებას.
11. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 30. დისერტაციის გამოქვეყნება

1. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში წარმატებით დაცული დისერტაციის ელექტრონული ვერსია დისერტანტმა გამოსაქვეყნებლად უნდა გადასცეს თსუ-ის გამომცემლობას დაცვიდან ერთი თვის განმავლობაში.
2. ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების შემთხვევაში, დისერტაციის 10 ეგზემპლარი უსასყიდლოდ გადაეცემა თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტს დაცვიდან ერთი წლის განმავლობაში.
3. დისერტაციის გამოქვეყნება შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, თსუ იურიდიული ფაკულტეტის ვებგვერდზე.

მუხლი 31. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. სადისერტაციო ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ პირს სადისერტაციო საბჭო ანიჭებს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხს - Doctoris Iuris (შეესატყვისება PhD in Law), რაც დადასტურებული იქნება მისთვის სამართლის დოქტორის დიპლომის გაცემით.
2. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა თსუ-ის მიერ. დიპლომის და დიპლომის დანართის გაფორმება მოხდება უნივერსიტეტში დადგენილი საქმისწარმოების წესის შესაბამისად. დიპლომს ხელს აწერს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი და უნივერსიტეტის რექტორი.
3. პირი უფლებამოსილია იწოდებოდეს სამართლის დოქტორად მისთვის სამართლის დოქტორის დიპლომის გადაცემის შემდეგ. გამონაკლისის სახით, იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია სამართლის დოქტორის დიპლომის გაცემამდე პირს მიანიჭოს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხით სარგებლობის უფლება დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ.

მუხლი 32. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

1. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორს დოქტორის აკადემიური ხარისხი ჩამოერთმევა, სადისერტაციო საქმისწარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენის, მონაცემების გაყალბების, პლაგიატის და აკადემიური პატიოსნების სხვა ნორმების დარღვევის შემთხვევაში.
2. თუ პლაგიატი ან დისერტაციის დოკუმენტაციის გაყალბება დადგინდა დისერტაციის დაცვის შემდეგ ნებისმიერ დროს, სადისერტაციო საბჭო ვალდებულია ბათილად ცნოს მინიჭებული აკადემიური ხარისხი და გააუქმოს შესაბამისი დიპლომი.

თავი VIII. დოქტორანტურა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით

მუხლი 33. შეთანხმება სადოქტორო პროგრამების განხორციელებაზე

სადოქტორო პროგრამის განხორციელება პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით წესრიგდება ამ უნივერსიტეტთან დადებული შეთანხმებით თანამშრომლობისა და ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ.

მუხლი 34. განცხადება დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ

1. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ორივე უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წინაპირობებს.
2. განცხადებას ამ დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად უნდა დაერთოს პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი პროფესორის თანხმობა თემის თანახელმძღვანელობაზე.

მუხლი 35. სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში დისერტაციას ერთობლივად უნდა უხელმძღვანელონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორებმა. დაცვას უნდა ესწრებოდეს ერთი ხელმძღვანელი მაინც.
2. პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც თემის ხელმძღვანელობაზე თანხმობას განაცხადებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს თავის დასკვნას.
3. თუ სადისერტაციო საქმისწარმოება უპირატესად პარტნიორ უნივერსიტეტში მიმდინარეობს, გამოიყენება პარტნიორი უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების პირობები.

მუხლი 36. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი

1. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს გასცემს ის უნივერსიტეტი, სადაც განხორციელდა დისერტაციის დაცვა.
2. დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მითითებას, რომ დისერტაცია დაცულია პარტნიორი უნივერსიტეტების მონაწილეობით.

მუხლი 37. გამოქვეყნება

გადაწყვეტილება დისერტაციის გამოქვეყნების შესახებ მიიღება ამ დებულების ან პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი დებულების მოთხოვნათა შესაბამისად. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემამდე დოქტორანტმა გამოცემული დისერტაციის 30 ეგზემპლარი უნდა წარუდგინოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს.

მუხლი 38. დისერტაციისა და მისი დაცვის ენა

დისერტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულად ან პარტნიორი უნივერსიტეტის სამუშაო ენაზე. იგივე წესი ვრცელდება დაცვასთან დაკავშირებით.

თავი IX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 39. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან.
2. ამ დებულების ამოქმედებამდე იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხული დოქტორანტების მიერ მოპოვებული კრედიტები და შესრულებული სხვა სამუშაოები გადახედვას არ ექვემდებარება.
3. ამ დებულების ამოქმედებამდე იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხულ დოქტორანტებზე ვრცელდება წინამდებარე დებულების მოთხოვნები, მანამდე მოქმედი დებულების მოთხოვნების გათვალისწინებით.

დანართი №1

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს
ბატონ _____

0128 თბილისი,
ჭავჭავაძის გამზირი, 1

განმცხადებლის სახელი, გვარი
მისამართი:
ტელ:
ელ.ფოსტა:

განცხადება დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ

ბატონო _____,

გთხოვთ ჩამრიცხოთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში.

ჩემ მიერ შერჩეული სადისერტაციო თემაა: _____
(თემის სახელწოდება)

თემის ხელმძღვანელობაზე თანხმობა განაცხადა პროფესორმა (ასოცირებულმა პროფესორმა) _____

_____

ვადასტურებ, რომ ვაკმაყოფილებ დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებულ ჩარიცხვის წინაპირობებს.

პატივისცემით,

ხელმოწერა, თარიღი

დანართები:

- პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;
- განმცხადებლის ავტობიოგრაფია (CV ფოტოსურათით);
- სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა;
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის დამოწმებული ასლი;
- ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ განმცხადებელი არ ირიცხება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში, ან უარი არ ეთქვა მას სხვა უმაღლეს სასწავლებელში დოქტორანტურაში მიღებასა და/ან მის მიერ შერჩეული თემის დამუშავებაზე;
- უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის დამოწმებული ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება

„ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org)

ALTE B2 –მესამე დონე (აკადემიური სფერო)

მესამე დონე ითვლება გაწაფულობის საშუალო დონედ. ენის ამ დონეზე მცოდნეს უკვე უნდა შეეძლოს, თავი გაართვას ენის ძირითად სტრუქტურას და გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიები. იგი ფლობს ფართო ლექსიკას. მოსმენისას და კითხვისას იგი სცილდება ფაქტობრივი ინფორმაციის ცალკეული პუნქტების გაგებას, შეუძლია განასხვაოს ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხები, ტექსტის ზოგადი თემა და სპეციფიკური დეტალები. სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერისას მას უნდა შეეძლოს როგორც არგუმენტის ჩამოყალიბება, ასევე მოვლენების აღწერა და თხრობა. ენის ამ დონეზე მცოდნეს გარკვეულწილად თავისუფლად შეუძლია სხვადასხვა კონტექსტში ენის გამოყენება. მას განვითარებული აქვს მეტი მოქნილობა და უნარი, რომ შეძლოს მოულოდნელ სიტუაციაში რეაგირება და ნაკლებად ეყრდნობა ენის უცვლელ ნიმუშებსა და მოკლე ფრაზებს. იგი უკვე კარგად ხვდება, როგორ უნდა დაიცვას ზრდილობის ის ნორმები, რომლებიც ენობრივად არის განსაზღვრული და როგორ უნდა ისაუბროს ოფიციალურ სიტუაციაში.

B2 დონის გამოცდა გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, რომ ამ დონეზე ენის მცოდნე მზად არის შეასრულოს საოფისე სამუშაო და გაიაროს არააკადემიური კურსი იმ ენაზე, რომელსაც სწავლობს (მაგალითად იმ ქვეყანაში, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობენ). ამ დონეზე ენის მცოდნეს უნდა შეეძლოს ენის გამოყენება სამოხელეო, სამდივნო და მენეჯერის პოზიციებზე და ზოგ ინდუსტრიაში, განსაკუთრებით ტურიზმში.

საუბარი

სწავლისას ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია დასვას შეკითხვები ლექციაზე ან პრეზენტაციისას მისთვის ნაცნობ ან პროგნოზირებად თემაზე, თუმცა გარკვეული სირთულეებით. მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სემინარსა და წვრთნებში, თუმცა ისევ და ისევ გარკვეული სირთულეებით.

წერა

ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია შეზღუდული გამოყენებისათვის ან შემდგომი გადამუშავების მიზნით ჩაიწეროს შენიშვნები ლექციებსა და სემინარებზე, თუმცა დამატებითი დროის უქონლობის შემთხვევაში შეექმნება სირთულეები. მას შეუძლია ამოიწეროს შენიშვნები წერილობითი წყაროებიდან, თუმცა შეიძლება გამორჩეს მთავარი საკითხები. მას შეუძლია დაწეროს ესსე, რომელშიც გადმოსცემს თავის აზრს, ან დაწეროს ექსპერიმენტის ანგარიში, რომელშიც ნაჩვენები იქნება შესრულებული სამუშაოს ძირითად შინაარსი.

კითხვა

მისი კითხვის უნარი აღემატება ყოველდღიური წერილებისა და ძირითადი საგაზეთო/ჟურნალის სტატიების გაგების უნარს. მას შეუძლია გაეცნოს მისთვის განსაკუთრებულად საინტერესო ფაქტობრივ ინფორმაციას და საკუთარი გემოვნებით შერჩეულ მხატვრულ ლიტერატურას. მას შეუძლია თავი გაართვას მცირე მოცულობის მოხსენებებსა და სტატიებს პროგნოზირებად თემებზე და გაიგოს მისთვის ნაკლებად ცნობილ თემაზე სტატიის ან მოხსენების ზოგადი შინაარსი, თუმცა ინფორმაციის ბუნდოვნად გამოხატვის შემთხვევაში არასწორად გაგებაა მოსალოდნელი. ამ დონეზე ენის მცოდნე არის ენაში საკმარისად გაწაფული იმისათვის, რომ დასძლიოს არააკადემიური ტრენინგები, რომლებიც სასწავლო ენაზე ტარდება. ამ დონეზე ენის მცოდნეს შეუძლია დასძლიოს ლექციის, პრეზენტაციის მასალა მისთვის ნაცნობ სფეროში ან იმ შემთხვევაში, როცა კონტექსტს კარგად იცნობს, თუმცა შეიძლება შეექმნას სირთულეები აბსტრაქტული არგუმენტაციის გაგებისას. მას შეუძლია წაიკითხოს მარტივი სახელმძღვანელოები და სტატიები, თუმცა არც ისე სწრაფად, რომ დასძლიოს აკადემიური კურსი.

მოსმენა

სწავლისას, მას შეუძლია გაიგოს მისთვის ნაცნობ თემაზე ლექციის ზოგადი შინაარსი.

B2 დონის შესაბამისი სერტიფიკატების და ქულების ნუსხა

გერმანული ენა	Goethe-Zertifikat B2
ინგლისური ენა	CEFR B2
	IELTS exam – 5
	BEC exam and CELS exam - Vantage
	Cambridge exam – FCE
	Pitman ESOL Intermediate
	TOEIC – 541
	TOEFL – 500 (paper-based) 173 (computer-based) 61 (internet-based)
ფრანგული ენა	Diplôme de Langue Française (DL) (AF)
	Diplôme d' Etudes en Langue Française DELF/B2 (CIEP)

სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნას, ათავისუფლებს კანდიდატს ამ ენებში გამოცდისაგან. ამ ენებში გამოცდისაგან ასევე თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის კურსი გავლილი აქვთ ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაზე.

გერმანულ ენაში გამოცდისგან თავისუფლდებიან აგრეთვე ის კანდიდატები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ: Zertifikat Deutsch für den Beruf, DAF, Sprachdiplom Kultusminister 2. Konferenz, ZMP, Zentrale Oberstufenprüfung, Kleines/Grosses Deutsches Sprachdiplom, DSH უნივერსიტეტებისთვის.

დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

სასწავლო კომპონენტი	ECTS კრედიტი	შეფასება
	____ECTS	
	____ECTS	
	____ECTS	
	____ECTS	
	____ECTS	
	____ECTS	
	____ECTS	
	____ECTS	
	____ECTS	
	____ECTS	
	____ECTS	
	____ECTS	

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

კონსულტანტი: _____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება: _____

სადისერტაციო ნაშრომის მოკლე აღწერილობა:

ა) კვლევის მიზანი:

ბ) საკითხის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა:

გ) სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა:

დ) სადისერტაციო ნაშრომის შესრულების (კვლევის) სავარაუდო გრაფიკი:

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის
/თანახელმძღვანელის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

საერთაშორისო რეცენზირებისათვის სტატიების წარმოდგენისა და მათი შეფასები წესი

1. სტატიის სარეცენზიოდ წარდგენა

- წარმოსადგენი სტატიების რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით.
- საერთაშორისო რეცენზირებისათვის დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიის ნაბეჭდი და ელექტრონული PDF ვერსია კომპაქტური დისკით.
- იმ შემთხვევაში, თუ სტატია გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე, დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს სტატიის თარგმანი, რომელიმე ევროპულ სამეცნიერო ენაზე (ნაბეჭდი და ელექტრონული PDF ვერსია კომპაქტური დისკით). სტატიის თარგმანის ელექტრონული ვერსიის ტექნიკური გაფორმება (შრიფტის ზომა, სტრიქონებს შორის მანძილი, გვერდების საზღვრები და ა.შ.) არ არის მკაცრად განსაზღვრული.
- სტატიის ნაბეჭდ ვერსიას თან უნდა ახლდეს მოკლე ანოტაცია ქართულად და დარგის სპეციალისტის (რომელიც არ უნდა იყოს დოქტორანტის ხელმძღვანელი) წერილობითი დასკვნა სტატიის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე (შუამდგომლობა სტატიის სარეცენზიოდ გასაგზავნად).
- დოქტორანტი და სტატიის მიღებაზე პასუხისმგებელი პირი ხელს აწერენ დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება სტატიის მიღება და სტატიის ჩაბარების თარიღი. დოკუმენტის ასლი ინახება დოქტორანტთან სტატიის რეცენზირების დასრულებამდე.

2. რეცენზენტები

- დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი სტატია ეგზავნება არანაკლებ ორ უცხოელ ექსპერტს, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- ექსპერტის ვინაობა კონფიდენციალურია, როგორც სტატიის გაგზავნისას, ასევე რეცენზიის მიღების შემდგომ პერიოდში.

3. შეფასების სისტემა

1. სტატიის შეფასება ხორციელდება 20 ქულიანი სისტემით. ნაშრომი დადებითად ფასდება, თუ ის მოაგროვებს არანაკლებ 12 ქულას.
2. შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა. შინაარსი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: პრობლემის აქტუალურობა; იკვეთება თუ არა დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, არის თუ არა ნათელი ავტორის მიზანი, არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური. კონცენტრირებულია თუ არა სტატია ძირითად საკვლევ საკითხებზე.

ბ.ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: ავტორის მიერ ყველა იდეის დროულად განვითარება. საკითხის სიღრმისეულად შესწავლა, საკვლევი საკითხის ამომწურავად შესწავლა. ავტორის პოზიცია გამყარებულია თუ არა ნათელი და სარწმუნო არგუმენტაციით. არის თუ არა საკმარისი რაოდენობის დამხმარე ლიტერატურა. არის თუ არა დამხმარე ლიტერატურა სპეციფიკური და არა ზოგადი. გვაქვს თუ არა აკადემიური და მიმდინარე შრომების ბალანსი.

გ.მონაცემთა სარწმუნოობა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: მონაცემების სისწორე, წყაროდ გამოყენებულია თუ არა კომპეტენტური ავტორის მიერ დაწერილი ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ. პირველწყაროდან იღებს თუ არა ავტორი თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს. რამდენად ორგანულად ერწყმის ტექსტს მოყვანილი ციტატები. არის თუ არა მონაცემები მოყვანილი შესაბამისი წყაროებიდან და არის თუ არა ყველა ციტირებული წყარო აღნიშნული ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში.

დ. სტრუქტურა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: არის თუ არა სტატია კარგად სტრუქტურირებული. კეთდება თუ არა მეტი აქცენტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო უფრო ნაკლები - შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონეზე. სტატია კარგად თუ არის ორგანიზებული და მისი ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. როგორია პარაგრაფიდან პარაგრაფზე გადასვლა. თითოეული პარაგრაფი სრულად თუ არის განვრცობილი.

ე. შედეგები (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: შედეგები რამდენად არის ახალი, მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი. შემუშავებულია თუ არა ახალი მიდგომა. არის თუ არა ახალი მონაცემები ახალი დასკვნებისათვის. ხომ არ არის დასკვნებში სუსტი ადგილები. ლოგიკურია თუ არა დასკვნები.

2. თუ ორი დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება არის არანაკლებ 12 ქულა, დასკვნა დადებითია. თუ ერთი ექსპერტის შეფასება უარყოფითია, ხოლო მეორის დადებითი, სტატია ეგზავნება მესამე ექსპერტს. ორი უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში სტატია უბრუნდება დოქტორანტს დასამუშავებლად.

4. შედეგების გაცნობა

1. ნაშრომი და ნაშრომის შეფასება არ არის ხელმისაწვდომი თსუ პერსონალისა და სტუდენტებისათვის, გარდა მეორე პუნქტით გათვალისწინებული პირებისა.
2.ნაშრომის შეფასების შედეგი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დოქტორანტს, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელსა და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს.